



საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აფეთქების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიებება უნდა დაიწყო

2014 წლის 13 დეკემბერს, შპს **აქტივობა** მედიაში გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც კომპანიამ საყდრისი-ყაჩაღიანის #1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. კომპანიის მიერ ინფორმაციის გავრცელების პარალელურად ცნობილი გახდა რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი ჰქონდა აფეთქების ფაქტს.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაიცემა სამრეწველო ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა, რომელსაც სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო გასცემს. შესაბამისად, შპს **აქტივობა** 2014 წლის 13 დეკემბერს, საყდრისის #1 სალიცენზიო უბანზე (აღნიშნული უბანი მოიცავდა/მოიცავს არქეოლოგიურ ობიექტს - საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო) აფეთქების განსახორციელებლად სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ნებართვა ესაჭიროებოდა.

საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 13 დეკემბერს, შპს აქტივობა საყდრისის ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე განხორციელებული აფეთქების დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან მიღებული შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდა.

შპს **აქტივობა** კუთვნილ კარიერებზე საამფეთქებლო სამუშაოებს ს/ს **აქტივობა**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ი ანარმოებს. ამასთან, შპს **А[] [] [] [] [] [] А [] [] []** დაკავშირებით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მოწოდებული სამრეწველო ფეთქებადი მასალების გამოყენების ხუთი ნებართვებიდან მხოლოდ ერთი, 2015 წლის 6 იანვარს გაცემული ნებართვა ეხება საყდრისის #1 სალიცენზიო უბანზე აფეთქების განხორციელების უფლებას. თუმცა, აღნიშნული ნებართვა ვერ გავრცელდება 2014 წლის 13 დეკემბერს განხორციელებულ აფეთქებაზე.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259¹ მუხლის თანახმად: არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე, ან არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი **დაზიანება ან განადგურება გამოიწვია** ან რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამავე კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად კი: **დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.**

საია წერილობით განცხადებით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას და 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აფეთქების ფაქტზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს.